ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725113001
თარიღი:23/04/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი - N05

დ. ლენტეხი 16 აპრილი 2025 წ

მიმდინარე წლის 16 აპრილს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 18 (თვრამეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 3 (სამი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მოსაკრებლის განყოფილების უფროსი ირა გვიჭიანი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარე საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების და განსაზღვრის შესახებ'' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31-მარტის N-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

/თანამომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

2. ლენტეხის N-46-ე საოლქო საარჩევნო კომისიისთვის სარგებლობის (უზურფუქტის) უფლებით უძრავი ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

/თანამომხს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

3**. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა.**

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა>

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს:** საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - **„ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების და განსაზღვრის შესახებ'' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31-მარტის N-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა განმარტა, რომ საკრებულოში შემოვიდა მერის მომართვა მოსაკრებლის ოდენობის გაზრდის თაობაზე. საკრებულოს** ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული პროექტის სხდომაზე გატანის თაობაზე. დადგენილებაში ცვლილება შედის შემდეგის მიხედვით:

მუხლი 1.შევიდეს ცვლილება „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების და განსაზღვრის შესახებ'' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31-მარტის N-11 დადგენილებაში და დადგენილების მე-3 -ე პუნქტის ,,ბ''-ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ. მაღაზიები, აფთიაქები, სილამაზის სალონები-10.კვ/მდე ფართი 10-ლარი, 30კვ/მდე-20-ლარი, 30კვ/მ-ზე ზემოთ 50-ლარი.''

მუხლი 2.დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტი. შენიშვნა პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების და განსაზღვრის შესახებ'' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31-მარტის N-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. **მოისმინეს:** საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი **ლენტეხის N-46-ე საოლქო საარჩევნო კომისიისთვის სარგებლობის (უზურფუქტის) უფლებით უძრავი ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ, რომ აღნიშნული ფართი ლენტეხის N-46-ე საოლქო საარჩევნო კომისიისთვის სარგებლობის (უზურფუქტის) უფლებით გადაცემული იყო 12 წლის ვადით. აღნიშნულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა და ცესკოს თავმჯდომარის გიორგი კალანდარაშვილის წერილის საფუძველზე უნდა გავუგრძელოთ ხელშეკრულება. შესაბამისად მომზადდა განკარგულების პროექტი შემდეგი სახით:

1.მიეცეს თანხმობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას ლენტეხის N-46 საოლქო საარჩევნო კომისიის განთავსების მიზნით სარგებლობის (უზუფრუქტის) უფლებით უვადოდ, უსასყიდლოდ, დ. ლენტეხში თამარ მეფის ქუჩა N-31-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში (ს.კ 87.04.24.031) 150.03 კვ.მ ფართის ცენტრალურ საარჩევნო კომისიისათვის გადაცემაზე.

2.განკარგულება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას შესასრულებლად.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში .

4.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგით მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა მერს - ლენტეხის N-46-ე საოლქო საარჩევნო კომისიისთვის სარგებლობის (უზურფუქტის) უფლებით უძრავი ქონების გადაცემაზე.

3. **მოისმინეს:** მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა ანგარიში - **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ**

2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსავლები დაგეგმილი იყო 18,948,700 ლარით. ფაქტმა შეადგინა 18,781,000 ლარი., მათ შორის გადასახადები 6,834,000 ლარით, ფაქტმა შესადგინა 6,981,00 ლარი. გრანტები დაგეგმილი იყო 11,669,7 ლარით, ფაქტმა შეადგინა 11,506,200 ლარი. გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან 256,400 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 823,500 ლარი, რეგ ფონდიდან 5,765,000 ლარი. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 2,053,500 ლარი, მაღალმთიანობის პროგრამით756,700 ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 604,000 ლარი. სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 445,000 ლარით. ფაქტმა შეადგინა 285,700 ლარი. 2024 წლის 1 იანვრისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ნაშთი შეადგენდა 3, 740,900 ლარს, აქედან კაპიტალური ნაშთი შეადგენდა 242,200 ლარს თავისუფალი ნაშთი 1,319,7000.

სულ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 22,529,500 ლარი, გეგმა შეადგენდა 22,697,200 ლარი.

2024 წლის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხარჯები დაგეგმილი იყო 22,697,200 ლარით, ფაქტმა შეადგინა 19,162,500 ლარი 84%.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები გეგმა შეადგენდა 5,868,900 ლარს. ფაქტმა შეადგინა 5,714,100 ლარი 97%. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო - გეგმა 1,118,400 ლარი, ფაქტმა შეადგინა 1,105,000 ლარი 99%, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია 4,427,100 ფაქტმა შეადგინა 4,286,400 ლარი, გეგმის 97%, ა(ა) იპი თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი - გეგმა 318,500, ფაქტმა შეადგინა 318,500 ლარი 100%.

ინფრასტრუქტურის განვითარება გეგმა შეადგენდა 13,026,400 ლარს. ფაქტმა შეადგინა 9,695,800 ლრი, გეგმის 74%, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება გეგმა 6,746,600 ფაქტმა შეადგინა 5,299,700 ლარი გეგმის 79%, წყლის სისტემების განვითარება გეგმა 2,385,700 ლარი ფაქტმა შეადგინა 1,518,800 ლარი გეგმის 64%, სახიაღვრე არხები და ნაპირსამაგრები ჯებირები გეგმა 1,504,200 ფაქტი 965,800 ლარი გეგმის 64%, გარე განათების მოწყობა გეგმა 47,700 ლარი ფაქტი 36,300 ლარი გეგმის 76%, კეთილმოწყობის ღონისძიებები 2,398,00 ლარი, ფაქტი1,695,800 ლარი გეგმის 71%, სამშენებლო საქმიანობის ტექ. დოკუმენტაციის შედგენა გეგმა 677,300 ლარი, ფაქტმა შეადგინა 412, 800 ლარი, გეგმის 61% სოფლის მხარდაჭერის პროგრამა გეგმა შეადგენდა 604,000 ლარს, ფაქტმა შეადგინა 603,700 ლარი 100%.

ა(ა)იპ. სოფლის შეურნეობის მომსახურეობის ცენტრი - გეგმა 112,100 ფაქტმა შეადგინა 112,100 ლარი 100%. ა(ა)იპ. კომუნალური მომსახურეობა - გეგმა 370,000 ლარი, ფაქტმა შეადგინა 369,500 ლარი 100%. გარემოს დაცვა - გეგმა 174,400 ფაქტმა შეადგინა 174,400 ლარი, გეგმის 100%, სკოლამდელი განათლება - გეგმა 1,080,000 ლარი, ფაქტმა შეადგინა 1,077,800 ლარი გეგმის 100%, სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - გეგმა 82,200 ფაქტი 77,900 გეგმის 95%, ო. ლიპარტელიანის სასპორტო სკოლა გეგმა - 81,200%ლარი, ფაქტმა შეადგინა 78,100 ლარი გეგმის 95%, ტურიზმის განვიტარების ცენტრი - გეგმა 147,100 ფაქტი 147,100 100%, სასპორტო სკოლების გაერთიანება 198,300 ლარი. გეგმა ფაქტი 198,100 ფაქტი გეგმის 100%.

კულტურული ღონისძიებების დაფინანსება 52,700 ლარი. გეგმა ფაქტი 50,300 ლარი, გეგმის 95%, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება გეგმა 171,700 ლარი ფაქტი 171,700 ლარი 100%, მუზეუმი - გეგმა 107,000 ლარი ფაქტი 106,300 ლარი გეგმის 99%, ტელერადიო მაუწყებლობა გეგმა 25,00 ლარი ფაქტი 21,700 ლარი 86%, კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება გეგმა 556,100 ფაქტი 556,00 100%, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება 7,000 ლარი, ფაქტი 7,000 ლარი 100%. ჯ. მეშველიანის სახელობის კულტ. ცენტრი გეგმა 253,000 ფაქტი 234,700 91%, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურეობა 179,600 ლარი, გეგმა ფაქტმა შეადგინა 179,600 ლარი გეგმის 100%, სოციალური დაცვა გეგმა 315,200 ლარი, ფაქტმა შეადგინა 303,600 ლარი გეგმის 96%, მათ შორის 37,300 ლარი იყო მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა, სტიქიის დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული ოჯახების საკონპენსაციო თანხა.

საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფისათვის გეგმა შეადგენდა 644,900 ლარს, ფაქტმა შეადგინა 644,900 ლარი. გეგმის 100%.

მომხსენებელს შეკითხვა დაუსვა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარემ ირაკლი ქურასბედიანმა - რატომ არის ადგილობრივი შემოსავალი ასეთი დაბალი?

პასუხად მომხსენებელმა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სასამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა აღნიშნა რომ დაგეგმილი იყო ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის

საფასურის შემოსვლა მაგრამ ტყის კოდების ცვლილების გამო არ განხორციელდა.

კითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით პირველმა - რატომ შეადგინა გარე განათების ხარჯმა ასეთი დიდი ციფრი?

აღნიშნული შეკითხვა განავრცო საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა:

კოლოსალურ თანხას ვიხდით გარე განათებაში და უნდა გამოვნახოთ გამოსავალი.

აზრი გამოთქვა: მევლუდ ლიპარტელიანმა ოჯახები არიან დაერთებული გარე განათებაზე და შესაბამისად ამიტომ ადის ასეთ დიდ ციფრზე გარე განათების ხარჯი.

აზრი გამოთქვა: მირიან ლიპარტელიანმა - რომელ სოფელშიც იქნება გადახარჯვა , იმ სოფელში მოსახლეობამ გაინაწილოს ეს ხარჯი და შესაბამისად უფრო მოტივირებული იქნებიან დაუდგნენ ადგილობრივ ხელმძღვანელობას საკითხის მოგვარებაში.

მომხსენებელმა ტახუ ჩანქსელიანმა აღნიშნა, რომ მერიაში შექმნილია კომისია, რომელიც შეისწავლის ამ პრობლემებს.

გადაწყვიტეს: **დაევალოს** საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას ჩაატრაოს სხდომა აღნიშნულ საკითხზე. დაუძახოს კომპანიის წარმომადგენლებს კომისიის სხდომაზე, გავაფრთხილონ მკაცრად და ამავე დროს დავიბაროთ მერიაში შექმნილი დროებითო ჯგუფის წევრებს და მოვისმინოთ შესაბამისი ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა კენჭისყრაზე დააყენა საფინანსო სამსახურის ანგარიში დამტკიცება.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა 14 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი